31 მარტს...

ერევანი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

“არარატი” (ერევანი) - “დინამო” (თბილისი) - 0:0.

“არარატი”: ა. აბრამიანი, ავანესიანი, ფ. აბრამიანი, კოვალენკო, მესროფიანი, ანდრიასიანი, არუთინიანი (მარტიროსიანი), იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია.

მსაჯი: ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

ამ მატჩში თბილისელთა წინაშე ერთი კონკრეტული ამოცანა იდგა - ფრედ დაემთავრებინათ ბრძოლა და შემდეგ შინ გამარჯვებით მიეღოთ მეოთხედფინალის საგზური. დინამოელებმა ამ ამოცანის “ერევნული ნაწილი” შეასრულეს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ისინი ოთხჯერ გადაურჩნენ აშკარა გოლს.

“არარატმა” დიდი მონდომებით ითამაშა პირველ ტაიმში. იგი გამუდმებით უტევდა მეტოქეს და ძალიან ხშირად არღვევდა სტუმრების თავდაცვითს ბასტიონებს.

უკვე მე-5 წუთზე ურუშაძემ ძნელი ბურთი მოიგერია. შემდეგ თამაში მთლიანად თბილისელთა ნახევარზე გადავიდა. დინამოელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს დაცვა და თავდასხმითს ოპერაციებს იშვიათად, თანაც ერთობ უხეიროდ ახორციელებდნენ.

29-ე წუთზე ხინჩაგაშვილმა ბოლო მომენტში მიუსწრო კარში დარტყმულ ბურთს და თავისი გუნდი ნაღდ გოლს გადაარჩინა, 41-ე წუთზე კი ერევნელთა ერთ-ერთი უძლიერესი დარტყმა ძელმა მოიგერია.

შესვენების შემდეგ ტემპი მკვეთრად დაეცა და სახიფათო მომენტებიც იშვიათი იყო. თბილისელებს მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ მასპინძელთა კარის აღების კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ლ. ნოდიამ პირდაპირ მეკარეს “გაუგზავნა” ძლიერად დარტყმული ბურთი.

ამრიგად, გადამწყვეტი სიტყვა ამ გუნდებმა თბილისის სტადიონზე უნდა თქვან 31 მარტს.

“ლელო”, 28 მარტი, 1971 წ.